

F 10527  
3



$$F \frac{10.527}{3}$$

F

Spec.  
D. 1000 215  
16925130

N 3.

282

33% 0.1

★ მოვლა-მოგენება ★

१३

\* ღვინის ღაყენება \*

đã bùn sét gốm sứ gốm sứ  
đã gốm sứ gốm sứ

၃. დარეჯანაშვილისა.

ଓঁ আশেন সু মন শঙ্খরণ.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ପ୍ରଦୀପ କାନ୍ତି-ବିଜୁଲିଙ୍ଗ ଏବଂ „ବିଜନିଂଡିନ“

1910

634.8  
n. 3. როსტომაშვილის სახალხო და საყმაწვილო გამოცემა  
1910 წ., № 3.



1910 წელი  
საბჭოთა კულტურის  
მინისტრის

# ვაჟის გოვლა-გოგენება

ღია

## ღვინის ღაყენება

მსწავლული მებაღის ა. დარეჯანაშვილისა.

F 10.5.21  
3



ფლილისი

ელექტრო-მშეწდავი ამ. „სორაპანი“, მაღათ. კუნძული.

1910

## ვ ა ხ ი.

სხვა მცენარესაგით ვაზი ნაზი არ არის, იგი კარგათ გვა-  
რობს ყოველ-გვარ მიწაზე და ყოველ-გვარ მიწიდან იღებს  
თავისთვის სამყოფ და საჭირო საზრდოს, მაგრამ ვაზის მოშე-  
ნებისათვის უკეთეს მიწად ითვლება თიხა-ნარევი და კორ-  
ნარევი მიწები. ამ გვარ მიწებზე მოშენებული ვაზის ნაყოფი-  
დან დაწურული ღვინო უფრო კარგი გემოსი და ფერისა დგე-  
ბა, ხოლო თუ კირი აღემატება სხვა ნაწილებს მიწაში, მა-  
შინ ღვინო დგება უფრო ბაცი ფერისა.

ვაზის გამრავლება შეიძლება ხუთ-ნაირი წესით: ა) რქით,  
ბ) გადაწვენით, გ) ოქსლით, დ) კვირტით და ე) მყნობით.

ვაზის გამრავლება. ვაზის გამრავლება უმჯობესია ვა-  
ზისავე რქით, რომელიც უნდა ამოირჩის კარგათ შემო-  
სული, ღონიერი და არა ახალ შენისა.

რქით გამრავლება ვაზისა შეიძლება ოთხ-ნაირად: 1) იმის-  
თანა რქით, რომელსაც ზედ აქვს ოთოვ ვერშოკი ძველი ვა-  
ზის ნაწილი, ესრედ წოდებული მუხლიანი რქით; 2) იმის-  
თანა რქით, რომელსაც ზედ მოსდევს ცოტა ძველი ვაზის  
ნაკერი, ესრედ წოდებული უმუხლო რქით; 3) უბრალო რქით,  
რომელსაც ზედ არა აქვს ძველი ვაზის ნაწილი და 4) კვირ-  
ტით. ამ წესებით ვაზის გამრავლებაში უპირატესობა უნდა  
მივცეთ პირველ ორ-გვარ წესებს, რადგანაც ამ გვარი წესით  
დარგული რქები ყოველთვის უფრო საიმედო ვაზს გვაძლე-  
ვენ, ვიდრე დანარჩენი წესით დარგულები. რაც შეეხება უბ-  
რალო რქით და კვირტით ვაზის გამრავლებას, ამას მე არა-  
ვის არ ვუჩემ, რადგანაც 1887 წელს ვცადე ამ ორგვე წე-



სით გამრავლება საცხენისის სამეურნეო სკოლაში ჟურნალი ვემ ცუდი შედეგი მაჩვენა. პირველი ორი წელით უშესაბეჭდებულ რქა ახეროთ ჯერ სკოლაში \*). სკოლის გაშენების დროს ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ: 1) სკოლა უნდა მოშენდეს მყუდრო და ქარისგან მოფარებულ აღკილას; 2) უნდა მოშენდეს თიხა-ქვიშა-ნარევ ანუ შავ ნოკიერ მიწაზედ (ხმელ მიწაზედ რქის ფეხსვები ვერ ეზრდება) და 3) თუ რქა გაშენებულია ნოკიერ მიწაზედ, მაშინ ხმელ მიწაზედ გადარჩვას ვეღარ იტანს და სიცოცხლე მალე ესპობა. ახლად გადარგული ვაზი უკეთესად გვარობს მაშინ, როდესაც მის დასარგავად დანიშნული მიწა ემსგავსება სკოლის მიწას. სკოლაში რქის დასარგვად არხებს სთხრიან ლარზედ (რიგზედ) ისე, რომ ერთი არხი მეორეს შორავდეს არ შინ ნახევრით; არხებს სთხრიან სილრმით 12 ვერშოკიდამ დაწყობილი 16 ვერშოკამდის, ხოლო სიგანით — რვა ვერშოკამდის.

ასე მომზადებულ არხებში რქის რგავენ ორ რიგად, ერთ-მანეროზედ ორი ან სამი ვერშოკის სიშორეზედ. არხებს ამ-სებენ მიწით, ოლონდ მიწა ძალიან არ უნდა დაიტკეპნოს ზემოლან, რაღვანაც ძალიან დატკეპნილ მიწაში ჰაერი კარგათ ვეღარ იმუშავებს; ცნობილია, რამდენადაც მცენარე მოკლებულია ჰაერი, იმდენად იგი ცუდად გვარობს; რქის დარგვის შემდეგ შარები მაშინათვე უნდა მოირწყას, რა თქმა უნდა, თუ არის სამყოფი წყალი. ნახარი ვაზები სკოლიდგან უნდა გადირგას მეორე წელიწადშივე დანიშნულ აღგილას, ხოლო თუ ნახარი რქა დარჩა სკოლაში ორ წელიწადზე მეტი, მაშინ მიწიდგან ამოლების დროს, მას მწოვარა ფეხსვები უფუჭდება და ამიტომ გადარგვის შემდეგ ცუდათა გვარობს. ამასთანავე სკოლიოგან ვენახის გაშენებას უპირიტესო-


\*) ბალოსნობაში სკოლას ეძახიან იმითანა ადგილს, სადაც ვაზს ან ხეხილს ზრდიან გასასყიდათ ან თავისსავე ბალ-ვენახში მოსამრავლებლად.



ჰა უნდა მიეცეს პირდაპირ ოქით გაშენებას, როდენის უკუკურ ლიდგან გაშენებული ვენახი უფრო აღრე იძლევას შესაბამის ამაგრამ პირდაპირ ალაგობრივ დარგული რქა, სკოლიდგან გადარგულ რქაზედ კი უფრო დიდხანს ცოცხლობს.

ვაზის დარგვამდის, მიწა ჯერ უნდა დაიგევმოს (დაიპ-ლანოს) და დაიყოს გზებად \*); შემდეგ შეუდევქით მიწის მო-მზადებას ასე: თუ მიწა ძალიან ქვიანია, მაშინ სთხრიან 12 ვერშოკიდამ დაწყობილი 16 ვერშოკამდისინ სიღრმეზედ; ხო-ლო თუ მიწა ფხვიერი და ნოკიერია, მაშინ მიწას სთხრიან 12 ვერშოკამდის. ასე გადათხრას და გადაბრუნებას მიწისას 3 ქვიან პლანტაჟით მიწის თხრა ასე უნდა: და-ნიშნულ აღვილას სჭიმავენ გრძელ თოქს, ერთი ნაპირიდგან მეორე ნაპირამდის, თოკიდამ დაწყობილი ერთი არშინის სი-განეზედ იღებენ არხს, სიღრმით როგორც ვსთქვით და ამო-ლებულ მიწას ჰყრიან ლობისაკენ ან გზისაკენ. შემდეგ ამ თხრილიდგან ერთ არშინზედ დაშორებით სთხრიან მეორე თხრილს, იმავე სიღრმეზედ და მის მიწას ჰყრიან პირველ არხ-ში; როცა მეორე არხის ამოლებას მორჩებიან, მაშინ იმავე ანგარიშით და ზომით იწყებენ მესამე არხის თხრას და ამ არხის მიწას ჰყრიან მეორე არხში; ასე ამ წესით გადასთხრიან მოელს მინდოოს; სულ ბოლოში, რა თქმა უნდა, დარჩება ცარიელი არხი, ეს უკანასკნელი უნდა აიმსოს იმ მიწით, რომელიც ამოვილეთ პირველ არხიდან. როცა გაათავოთ მინ-დერის ასე გადათხრა, გასწორეთ თოხით, ბარით და გასწორე-ბის დროს რაც შეგხვდეთ ქვა, ფესვები ან კლერტები, სულ ერთიანად უნდა გაალაგოთ საღმე ნაპირას. ასე მომზადებულ მიწაში, შემოდგომით ანუ გაზაფხულობით, რგავენ სკოლიდან ამოლებულ ფესვებიან ვაზებს. ვაზის ან რქის დარგვის დრო დამოკიდებულია ნიაღავზედ და ჰავაზედ; ჰავაშა-ნარევ ქვიან

<sup>\*)</sup> გზების სრული უნდა იყვეს საუკენ ნიხევრიდფან დაწყებული სამ საუკენარის.



## ერთობები

მიწაში, აგრეთვე ცხელ ადგილებში, რქის თუმცამდებნების შემოდგომით, ხოლო თიხა-ნარევ მიწაში და ცივ ადგილებში რგავენ გაზაფხულობით. ვაზის დარგვა შეიძლება: არხებში, ორმოებში და პალოთი ანუ რკინის კეტებით (ლომებით). \*)

ვაზის დარგვა თხრილებში. რქის დარგვისათვის თხრილებს სთხრიან 12—14—16 ვერშოკის სიღრმეზედ, რვა ვერშოკის სიგანით და ორი არშინის სიშორეზედ; რქების ანუ ვაზის დარგვის დროს მიყრილი მიწა სუბუქადუნდა დაიტკეპნოს ერთხელ ან ორჯელ, რომ ფესვებს შეა არ დარჩეს ცარიელი ადგილი, თორემ წვიმის და თოვლის წყალი ჩაგუბდება შიგ და ფესვებს დაალპობს. თხრილები შეიძლება ქართული გუთნა-თაც გააკეთოთ, მეტადრე სადაც საჭირო არ არის დრმა თხრილების გათხრა.

ვაზის ორმოში დარგვა. ვისაც უნდა ვაზის გაშენება ორმოებით, იმან ორმოები უნდა მოთხაროს შემოდგომაზედ 12—14 ვერშოკ სიღრმეზედ და რვა ვერშოკ სიგანზედ; მოთხრის შემდეგ იწყობენ ვაზის ან რქის დარგვას; დარგვის დროს მიყრილი მიწა ისევ უნდა დაიტკეპნოს სუბუქად ფეხით ერთხელ ან ორჯელ.

რქის დარგვა სიხა ანუ რკინის პალოთი. პალოთი რგავენ მარტო უფესვო და უმუხლო რქის, ამისათვის ლარზე (რიგზე) რკინის პალოთი აკეთებენ გადათხრილ მიწაში (პლანტაციაში) ხვრელებს ერთ არშინ ნახევრიდან ორი არშინის სიშორეზე, ვისაც ორგორ სურს, და 12—14 ვერშოკამდის სიღრმეზე. შემდეგ ჩაუშვებენ ხვრელებში რქის და ჩაუკირან ნახვერამდის შეზავებულ მიწას, ორმელსაც გარშემო პატარა ჯოხებით ჩასტკეპნიან; მერე ისევ აყრიან მიწას და ისევ პატარა ჯოხით სტკეპნიან; ამ საჭირო გეორგებენ იმ დრომდის, მინამ ხვრელი არ გაიმსება მიწით. ამ ხვრელების ამოსავსე-

\*) პალოთი და რკინის კეტებით (ლომებით) გაკეთებულ ხვრელებში რგავენ მარტო უფესვო და უმუხლო რქის.

ბათ მიწას აზავებენ ორნაირად: 1) იღებენ ერთ ნაწილს უხვევ  
ერ მიწას, ორ ნაწილს დამიწებულ ნეხვს, ურევჭრებისას შეკვეთი ॥  
ში და ამით ავსებენ მოხსენებულ ხვრელებს; 2) მუდგარების უქმებ  
ნაწილს ტყის ანუ ფხვიერ მიწას, ორ ნაწილს დამიწებულ  
ნეხვს ან კიდევ ამის მაგივრად ერთ ნაწილს ახალ ნეხვს, ზედ  
ასხამენ წყალს და კარგად ურევენ ერთმანეთში, მინამ არ გა-  
სქელდება; შემდეგ იღებენ კასრებით და ჩასხამენ ხვრელე-  
ბში. როდესაც ტალახი ძირს დაიწევს, მაშინ ხვრელები ხელ-  
მეორედ გადაამსეთ იმავე ტალახით.

საჭიროდ ვრაცხ ვაცნობო აქ ჩვენ მევენახეებს ჩემი ზო-  
გიერთი გამონაცადი ივანე მუხრანსკის ფერმაში. ამ გამოც-  
დამ დამარტინუნა, რომ ორმა მუშამ ერთ დღეში არხებში დარ-  
გა ორ არშინის სიშორეზედ დაკ<sup>3/4</sup> არშინის სიღრმეზედ 200  
რქა; ორმოებში დარგა ორმა მუშამ 300 რქა; გუთნით გა-  
კეთებულ არხებში—800 რქა; პალოთი გაკეთებულ ხვრე-  
ლებში მიწის ამოვსებით—288 რქა და ამავე ხვრელებში, ოღონდ  
ტალახით ამოვსებით—516 რქა. გაზაფხულზე დასარგველად,  
მომზადებულ რქას ზამთრობით ინახავენ მიწაში ერთ არშინ  
სიღრმეზე და ზემოდან აფარებენ დამპალ თივას ან ბუჩის,  
რომ ყინვამ არ დააძროს; გაზაფხულზე ამოილეთ კონები, დარ-  
გვამდისინ ერთი ანუ ორი კვირით წინ, კონები ზეზეურად  
ჩაყარეთ წყალში, \*) რომ რქის ძირები მოლდეს (წყალით  
გაიუღინოს). კონები წყალში უნდა დარჩეს ერთ ან ორ  
კვირას, მერე ამოილეთ წყალიდან და ორი დღით შეეხე  
დააწყეთ, რომ გაშრეს, შემდეგ შეუდექით დარგვას დანიშ-  
ნულ ადგილას—სკოლაში ან სავენახე ადგილას.

### გამრავლება ვაზისა მყნობით.

რაც შეეხება ვაზის მყნობას, უნდა ვსოქვა, რომ ვაზსაც  
იმავე წესით უმდა მყნობა, როგორც ხეხილებს, სახელდობრ:  
გაპობით, მიღებით, უნაგირის მსგავსად და სხვა.

\*) წყალში ჩადგმული რქა უფრო მაღვე და უკეთესად გვარობს.



**გაპობით მყნობა.** მოსკერით უჯიში მიწამუნაშვილი შემდეგ გახეთქეთ ერთ ვერშოკზე, აიღეთ სამყნო ტოტი მამა სამი კვირტით, ორივე მხარეს გათაღეთ გეზათ, ჩაკერით ცოტათი ზემოდან ორივე მხარეს და ასე მომზადებული ჩა-ვით გახეთქილ უჯიშში.

**მიდებით მყნობა.** მოსკერით უჯიში მიწის პირად, ერთ მხარეს ერთი ვერშოკის სიგრძეზედ ამოთალეთ; შემდეგ ა-ღეთ სამყნო ტოტი ორი ანუ სამი კვირტით და ერთი მხრი-დან ისევე ამოთალეთ, როგორც უჯიში, ჩაუჭდით ზემოთა მხარე და მიადეთ უჯიშს.

**უნაგირის მსგავრად მყნობა.** მოსკერით უჯიში მიწის პირად ორივე მხრიდან გეზათ, აიღეთ სამყნო ტოტი ორი ანუ სამი კვირტით, შუაზედ ჩახეთქეთ ერთი ვერშოკის სიგრძე-ზედ და წამოაცვით უჯიშხე. ეს მყნობა სჯობია ყველა ზე-მოთ მოხსენებულ მყნობას მით, რომ წვიმა ან მტვერი ვერ მიეკარება ნამყენს. ამავე წესებით ვაზებს ამყნობენ მიწაში; ამისთვის ვაზს გარშემო, ოთხ ანუ რვა ვერშოკზედ, აცლიან მიწას და ამყნობენ შიგ მიწაში; მყნობის დროს სახეში უნდა ფიქნიოთ, რომ სამყნო ტოტს მწას ზემოდამ უჩინდეს ერ-თი კვირტი, დანარჩენები კი უნდა მოჰყევს შიგ მიწაში. რო-გორც მიწის ზემოთ, ისე მიწაში მყოფ ნამყენებს გარშემო უნდა შემოახვიოთ ჭილობი და გადალესოთ საგლესით.

### ვანახის შემუშავება.

ვენახებს შეამუშავებენ ხოლმე: შემოდგომობით, ზამთ-რობით, გაზაფხულობით და ზაფხულობით.

**შემოდგომის საქმეები:** თუ საჭიროება მოითხოვს უნ-და გამოსთიბოთ ბალახი, ორი ან სამი კვირით წინ ყურძნის დაკრეფამდის, მოაცალოთ მეტი ფოთოლი, რომ ყურძენი კარგათ დამსხვილდეს და დამწიფდეს. დაკრიფეთ ყურძენი, დაწურეთ, დააღუდეთ ტკბილი, დუღილის შემდეგ გადიღეთ სუფთათ გარეცხილ ჭურჭელში, ქვევრებში ან ბოკებში, შემ-



დეგ დაიწყეთ ვაზების გასხვლა, გადაწვენა, წაუჭრუა ფრეჭუა მ  
გამოტანა, მოიღეთ და გამოიტანეთ წაქცეულება და შეტყობ  
რეული ჭიგო, მოამზადეთ დასარგავად ვაზი ან რქა, საღაც  
უნდა კიდევაც გადააწვინეთ ვაზი, გადათხარეთ მიწა პლანტა-  
ჟით, დაბარეთ ვაზებს შუა \*) და ჩაყარეთ ვაზი \*\*). ვაზის გადასა-  
წვენად სიღრმე არხებისა დამოკიდებულია ნიაღაგზედ და ჰა-  
ვაზედ. ქვიშა-ნარევ ნიაღაგზედ და ცხელ ადგილებში ვაზის  
გადასაწვენად არხებს სთხრიან სამ ჩარექიდან ერთ არშინამ-  
დის, ხოლო სიგანით — ნახევარ არშინამდის. თიხა-ნარევ მიწა-  
ზედ და გრილ და ცივ ადგილებში კი სთხრიან სიღრმით  
ათ ვერშოკიდან თორმეტამდის, ხოლო სიგანით — ნახევარ  
არშინამდის. გარდა ამისა, ცხელ და თბილ ადგილებში ვაზს  
აწვენენ შემოდგომით, გრილ და ცივ ადგილებში კი — გაზაფ-  
ხულობით.

**ზამთრის საქმეები.** ზამთარში ვენანის საქმე მცირეა.  
თუ დიღი სიცივეები და ყინვები არ არის, მაშინ შეუდექით  
ვაზის ჩასაყრელად (დასარგავად) მომზადებას, გადაბარვას პლან-  
ტაჟით, მოამზადეთ ახალი ჭიგო, დაჩეკეთ, შეაკეთეთ ლობე-  
ვენანის გარშემო, თუ საჭიროება მოითხოვს გადაფენებ ბე-  
ბერი ვაზი, გაზაფხულზედ გადაკაფული ვაზი ამოიხეთქვს  
მრავალ ყლორტებს, მათგან არჩევენ ერთს ჯან-საღ ყლორტს  
და დანარჩენებს კი აცლიან (აშორებენ).

**გაზაფხულის საქმეები.** დადგება გაზაფხული თუ არა,  
მაშინვე დაიწყეთ ბარვა ვაზებს შუა, სხვლა, მყნობა, ჭიგვის  
შედგმა, ვაზის დაკავება, შეყელვა და ვაზებს შუა გასუფთა-  
ვება (გაწმენდა).

\*) ვენანის დაბარვის დრო დამოკიდებულია ჰავაზედ და ადგილზედ:  
ცივ ადგილებში ბარვენ გაზაფხულობით, ცხელ ადგილებში შემოდ-  
გომობით.


\*\*) ვაზის დარგვის დროსაც სახეში უნდა ვქონდეთ დრო: ცივ  
ადგილებში რგვენ გაზაფხულზედ, ცხელ ადგილებში — შემოდგომით.

  
**ზაფხულის საქმეები.** მთელი ზაფხულის განმავლობაში მდებარეობდა მოითხოვს, გათოხნეთ ვაზები ტუშა, გამოწერილი უნაყოფო ყლორტები, აახვიეთ ვაზი, მორწყევით, წამლობის დროს უწამლეთ, ააყენეთ ფეხზედ წაქცეული ჭიგო.

### გაზის ავაღმყოფობა და მისი წამლობა.


ყველას გაგებული და შესმენილი აქვს, რომ რაც დრო გადის, იმდენად ვაზს უჩნდება მრავალნაირი ავაღმყოფობა, მაგრამ დღეს მთავრობა ებრძვის ჯერ-ჯერობით: ფილოქსერას, ობს (მილდიუს) და ნაცარს. რაღაც ფილოქსერის წინააღმდეგ ჯერ არ აღმოუჩენიათ ნამდვილი ღონისძიება, ამისათვის ამაზე მარტო იმას ვიტყვი, რომ ეს მტერი პირველად გაჩნდა საფრანგეთში 1865 წელს, რომელმაც მოკლე ხანში გაანადგურა და მოსპო იქ რამდენიმე ათასი დესეტინა ვენახი. საფრანგეთიდან ფილოქსერა დიდის სისწრაფით გადავიდა 1872 წ. ვენაში, ვენიდან გერმანიაში, გერმანიიდან შვეიცარიაში და შვეიცარიიდან 1876 წ. უნგრეთში, ხოლო აქედგან იმავ წელიწადს გაღმოვიდა რუსეთში, სოფელ სტესელაში (ყირიმში) ქ. იალტასთან ახლო. რადგანაც ფილოქსერის კომიტეტმა ამ სენის (კიის) გაჩენის დღიდან დღევანდლამდის ვერავითარი საწინააღმდევო წამალი ვერ გამოიგონა, დაადგინა აძყნოს ჩვენებური ვაზი ამერიკულ ვაზზედ და გაავრცელოს იგი ჩვენში. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ფილოქსერა ოთხი ჯურისაა: 1) ფენვებისა — კორневая филоксера, 2) ფრთებიანი — კრიлатая, 3) სქესებრივი, რომელიც იქვებლება და კიდევაც ბლარტობს — ისებრივი და 4) ფოთლისა — листовая; ცხადია, რომ მარტო ამერიკული ვაზის შემოღებით ჩვენ ვდრო ვისენით ჩვენს ვენახებს ამ საშინელი მტრისაგან...

**ობი.** ობი არის იმისთანა ავაღმყოფობა; რომელიც უდროვდ და სწრაფად უსპობს ვაზს სიცოცხლეს, თუ დროზედ



არ მიეშველა პატრონი. ობი უჩნდება ვაზის ფეხთა შეუძლებელი  
ნაწილს, მაგალითად: ახლად გამოსულ ვაზის ტრიქსის სასახლე  
ხალს და ფოთლებს, ხოლო არ უჩნდება ძველ რქას და მწი-  
ფე ყურძენს. თბილ, მყუდრო და ნოტიო ადგილებში, აგ-  
რეთვე ავდრიან წელიწადში, უფრო ვრცელდება ობი, ვიდრე  
გვალვიან ზაფხულში და მშრალ ალაგებში. ამ სენისაგან ავად-  
მყოფ ვაზებს ფოთლები უდროვოდ უყვითლდება, უკვნება,  
უხმება და ბოლო დროს სცვივა. ამის გამო ვაზი თან-და-თან  
სუსტდება, კარგ რქას ვეღარ იკეთებს, ყურძენი რიგიანად  
აღარ მწიფდება, ღვინო მჟავე დგება და მალეც ფუჭდება.  
ობი იმით არის საშიში, რომ ზოგჯერ, ორ-სამ დღეში, თუ  
დაუდგა ამინდი, ისე სწრაფად ვრცელდება, რომ მოულოდ-  
ნელად ვენახს ანადგურებს. ობი ადგილი საკნობია, ისე რომ  
იმ ადგილებში, საღაც აბი გაუჩნდება ვაზის ფოთოლს, ის  
ადგილი იღებს მოყვითალო ფერს, შემდეგ ფოთლის ქვემო  
მხარის კანზე გამოაჩნდება ობი, დაფხვნილი შაქრის ანუ მა-  
რილის მსგავსად, მერე დაზარალებულ ადგილებში ფოთოლი  
იღებს ჯერ ღია წაბლის ფერს და მერე სრულიად ხმება და  
სცვივა. ამ სენის წინააღმდეგ წაბალს ხმარობენ „ბორდოს  
წყალს“, რომელიც მზადდება სპილენძის შაბიამანით, ქვა-კი-  
რით, გოგირდის ფქვილით და წყლით ამ გვარად: პირ-ახდილ  
კათხაში ანუ თიხის ჭურჭელში ჩასხით ერთი თუნგი ადუ-  
ლებული წყალი, ჩაყარეთ რამდენიც გენებოთ (წონით) შა-  
ბიამანი, ურიეთ ჯოხით, ვიდრე შაბიამანი გაიხსნებოდეს; ასე  
მომზადებული შაბიამანი ახლა ჩასხით პირ-ახდილ დიდ ბოჭ-  
კაში, შემდეგ აღდეთ რამდენიც საჭირო (წონით)\*) ქვა-კირი,  
ჩაყარეთ ვეღრაში, ზემოდან დაასხით ნახევარი ან ერთი თუნ-  
გი ცივი წყალი და ურიეთ ჯოხით, ვიდრე კირი სრულებით  
გაიხსნებოდეს წყალში; ესე მომზადებული კირ-წყალი ნელ-

\*) დაშლილი, ნაწილი და ძველი კირი არ ვარგა ვაზის საწამ-  
ლებლად.



ხელა და თან დარევით მიუმატეთ მომზადებულება შეფერხულის  
წყალში, მერე აიღეთ გოგირდის ფქვილი, გახსენიშვილის წყალში  
შაბიამანი, როცა კარგად გაიხსნას, ისიც აიღეთ და ჩაასხით  
იმ ჰურკელში, სადაც ჩასხმული გაქვთ წყალში გახსნილი  
შაბიამანი და კირი და ურიეთ კარგა ხანს ჯოხით, მერე ზე-  
მოდან დაასხით წმინდა წყალი, რამდენიც საჭირო იქნება.  
კარგად მომზადებულ „ბორდოს წყალს“ უნდა ჰქონდეს ნამ-  
დვილი ცის ფერი. ყოველ ოცდა ოთხ თუნგ, ანუ რვა ვეღ-  
რა, ანუ ექვს ჩაფ წყალზე საჭიროა სამი გირვანქიდან დაწ-  
ყებული ხუთ გირვანქიდის შაბიამანი, ორ გირვანქა ნახევ-  
რიდან სამ გირვანქიდის ქვა-კირი და ორ გირვანქა ნახევრამ-  
დე გოგირდის. მტვერი \*). ესრე მომზადებული წამალი რამ-  
დენიმე დღე რომ დარჩეს არ გაფუჭდება, პირ-იქით, უფრო  
მძლავრად მოქმედებს ვაზზედ. ხმარების წინად წამალს უნდა  
კარგათ დაურიოთ, რადგანაც ჩაილექება ხოლმე. ვენახს უნდა  
ასხუროთ წამალი წყნარ, მზიან და უქარო დღეს. წამალი  
ისე უნდა შეასხუროთ ვაზებს, რომ იგი ეცემოდეს ფოთლებ-  
ზე ცინკქალა წვიმასავით, რამდენადაც შეიძლება თანასწო-  
რედ. ამისათვის წამლის მსხურებელი უნდა იდგეს ორ ან სამ  
ნაბიჯზედ ვაზებისაგან, ასხუროს ის ზომით, რომ წამალმა  
ფოთლებიდან დენა არ დაიწყოს. პირველი შეასხურება სა-  
ჭიროა, ვიდრე ვენახში გაჩნდებოდეს ობი, რაკი წამლობის  
დრო გადასცდება, შეიძლება ვენახი ველარ გადაარჩინოთ სენ-  
სა. ამისათვის კახეთში და იმერეთში პირველი წამლობა \*\*)  
საჭიროა მაისის დამდევს, ან კიდევ მაისის შუა რიცხვებში,

\* ) ჩემმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ გოგირდი „ბორდოს  
წყალში“ გარეული უფრო კარგად მოქმედობს ნაცრის წინააღმდეგ, ვიდ-  
რე მშრალათ საჩრდვლით შეყოით.

\*\*) პირველ წამლობის დროს შაბიამანი, კირი და ვოგირდი ნაკ-  
ლებად უნდა ა ღოთ, რომ ნორჩი ფოთოლი ვაზისა არ დასწვას, არ და-  
აზიანოს.




յարտլննու կո մասնու հաեցրութան. Թյուրք թամլութեան վեհական գոյծա տիեզարքու մայա ընկայութեան, մյօսամյ թամլութեա շաբաթու հաեցարնու, մյօտեք թամլութեա—սամո կարութ թին պահենու դայրեցամջուսոն, սահոցագոտ կո, զուրկ թամալո զանու ցողուցից պահեան յարցաւ յմինցա, սեփական գահյուրցեա սակուրու տռ տռու, և ու թիզոմյեանսացան համուրցյեա թամալո, մանոնց եցլ-աելու պահան. Մյօսեսպահու, մյօւրագու ոմ ագուցիցին, սաճաւ ենուրու թիզոմյեա ուրու. ցալցան նագեսպահու կո տռու Մյօսեսպահու յմարու, հալցանաւ սուրեմա յև սենո ուց զյուր ազնեմն զանուս. յիշու գլուխու (հաեցարու գլուխուն) յըհանուս սաթամլութեան սակառա 30—40 ցորցան յամանու կալունցանու վաճամանու.


სპილენძის შაბიამანის, გოგირდის და ვერმარილის მან-  
ქანის გამოწერა შეიძლება თბილისიდან სამეურნეო საზოგა-  
დოებიდან. კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხა-  
ნაგობიდან და ფრიდონოვის საწყობიდან.

**ნაცარი.** ნაცარი არის იმისთვის თვალ-უჩინარი სოკო, რომლის თვალით დანახვა შეუძლებელია, იგი მრავლდება ან თავისთვის, ან კიდევ ქარის შემწეობით გადადის ერთი აღ-გილადან მეორე აღგილას. ეს სენი მრავლდება და უჩნდება ვაზს უფრო გვალვიან წელიწადში. რა წამსაც გაუჩნდება ვაზს ეს სენი, იმავე წამს ვაზი იწყობს ავადეულობას, მაგა-ლითად, ფოთლებს ეკარგებათ სიმწვანე და როგორც ახალ ყლორტებს, ისე ნაყოფს ზემოდან ედება თეთრი ნაცრის ფე-რი მტვერი, ნაყოფი ვეღარ მსხვილდება, ჭკნება, სქდება, ბოლოს ხმება და სცვივა. ამ სენის წინააღმდეგი წამალი არის გოგირდის ფქვილი, რომელსაც ხმარობენ ამნაირად: საცერ-ში გაცრილი მტვერი ჩაყარეთ საბერველში, მიღით ვაზთან,

\* ) მეორე და მესამე წამლობაში იხმარეთ სრულდე ხუთი გირვან-  
ჭა შებიამ.ნი, სამი გირვანქა კირი და ორ გირვანქა ნახევარი გოგირდის  
ძრევები.



დაიწყეთ შორი-ახლოდან საბერველით შებერვალურული ფას  
ეყრდნობეს მარტო მტვერი და არა ცვილიტების მომსახურების  
ნაფხვენები, როგორც ეს ხშირად მოხდება ხოლმე გამოუც-  
დელი მუშის მუშაობაში. მტვერი უნდა შეიყაროთ როგორც  
ავადმყოფ ვაზებს და ფოთლებს, ისე კარგად მყოფსაც, რომ  
სხვებსაც არ გადაედოს ავადმყოფობა. გოგირდის შეკრამდი-  
სინ ვენახი უნდა გაიფურჩქნოს, მოშორდეს უნაყოფო ყლორ-  
ტები, რომ უბრალოდ არ მოახმაროთ გოგირდი. პირველი  
წამლობა უნდა მაშინ, როცა ვაზს გამოაჩნდება ოთხი ფო-  
თოლი, მეორე წამლობა—ყვავილის წინ ან ყვავილის შემ-  
დეგ და მესამე წამლობა, როცა ნაყოფი გახდება მოხუდოს  
ოდენა. გოგირდის შეკრა ყოველთვის უნდა დილა-აღრიანად  
ნამიან ფოთლებზედ ათ საათამდისინ, თუ გრილი დღეა, შე-  
იძლება სალამომდინაც განაგრძოთ შეკრა. სიცხეში ნაწამლი  
ვაზის ფოთლები გოგირდის გამო იხრუკება, ხმება და ძირს  
სცვივა. კარგია გოგირდის შეკრა წვიმის შემდეგ, რომ იგი  
კარგად მოეკიდოს ვაზის ნაწილებს. გოგირდის არას დროს  
არ უნდა შეიყაროთ ქარიან და წვიმიან დღეს, რადგანაც  
პირველი აქეთ-იქით მიაბნევს გოგირდს, მეორელაციდევ ჩამო-  
რეცხავს მას. გოგირდის შეკრის დროს მუშამ უეჭველად მავ-  
თულის სათვალეები უნდა გაიკეთოს თვალებზე, რომ თვალე-  
ბი არ გაუფუჭდეს. როდესაც მუშა საქმიდან იხდეს აიღებს,  
ყოველთვის საბერველი უნდა დაბერტყოს, რომ შიგ არ დარ-  
ჩეს გოგირდი, თორემ დასწვამს ტყავსა. ორ დღიურ ვენახ-  
ზედ პირველ შეკრაში უნდება ორი ფუთი გოგირდი, მეორე  
შეკრაში—ოთხი ფუთი, მესამე და მეოთხე შეკრაში—ოთ-  
ხო ფუთი. მას ქამოიხმარ გოგირდი და მეოთხე შეკრაში  
ვაზის გასხვლა.



მძღანელოთ ბ. გიოს წესით. ეს წესი იმაში ჭრილი და მუქი იყო, რომ თითო ვაზზედ უშვებენ ორ რქას — ერთს უკავშირებელს, მეორეს — ნეკს. სადაც ნოუიერი ნიადაგი და ლონიერი ვაზია, იქ ზოგჯერ სხლავენ ვაზს ორ სამამულე რქაზედ და ორ ნეკზედ.


სამამულე რქა უნდა გაისხლოს ექვს ან 10--12 კვირ-ზედ. ნეკი 2—3 კვირზედ. მოკლე და გრძლათ გასხვლა დამოკიდებულია რქისა და ვაზის ჯანმრთელობაზედ, რამდენიც ვაზი და რქა ლონიერია, იმდენათ ვაზი გრძლათ უნდა გაისხლოს რამდენიც ვაზი და რქა სუსტია, იმდენათ მოკლე უნდა გაისხლოს. ამის გარდა ხმარობენ ბ. დეზიმირის წესს. ეს წესი იმაში მდგომარეობს, რომ გასხვლის დროს მოსაჭრელ რქას ძირში არა სჭრიან, — არამედ სჭრიან ნახევარი ვერშოკის სიგრძეზედ. ბ. დეზიმირი ამბობს, რომ ძირში მოკრით (გასხვლით) იარა მალე ვერ მთელდებო (ვერა რჩებათ, ვერ შეიძულებს ხოლმეო), რის გამოც ამისთანა რქა ზამთარში მალე ძრება და ზაფხულობითაც სიცხის გამო მალე ჩემებათ. ოღონდ ის ნახევარი ვერშოკი, რამელიც გასხვლის დროს დარჩა სამამულე რქაზედ ან ნეკზედ, უნდა მოაშოროთ მეორე წელიწადსათ.

ჩემის ფიქრით ამისთანა წესი უნდა ვიხმაროთ იმისთანა ადგილებში, სადაც დიდი ყინვები და კირხლი \*) იცის და თუ ამასთანავე ხალხის ცხოვრება დამყარებულია მარტო მევენახობაზედ. რაღაც ჩვენ საქართველოში ვენახებს გარდა მისდევენ მეურნეობის სხვა და სევა დარგსაც, ამისათვის ჩვენი გლეხი კაცი ვერ მოიცლის და ვერ შეასრულებს ბ. დეზიმირის წესს. მეც ჩემმა გამოცდილებამ და პრაქტიკამ დაბარწმუნა, რომ თუ დეზიმირის წესით არ ყოფილა გასხლული ვაზი, დიდი ზარალი არ დაგვდგომია. რაც კმ წესის გასხვლაზედ დრო მოუნდება, სჯობია ის დრო კაცმა მოანდომოს ვენახების წესიერად შემუშავებას. აქ მეტი არ იქმნება ვსოდება.

\*) კირხლი ყინვაზედ უფრო მავნებელია.

ორიოდე სიტყვა ბ. კაზენავას წესით ვაზის კუჭურულუცუმ  
ეს წესი დიდი ხანი არ არის რაც შემოიტანეს ტყე კუჭურუცუმ  
წესი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი შარი მეორე შარს შო-  
რავს ერთი საჯენითა, ხოლო ვაზს და ვაზს შუა საჯენ ნახე-  
ვარით. ამ გვარი დარგვით ერთ დღიურ მიწას უნდება ექვსა-  
სიდან — შვიდას ძირამდის ვაზი ან რქა. როგორც ხედივთ ვა-  
ზი სულ ცოტაა დღიურზედ, მაგრამ მოსაცალს კი დიდი იძ-  
ლევა, 500—600 ვედრა ღვინოს დღიურზედ, რაღანაც ამ  
წესით მოშენებული ვაზი ყველა მხრიდან სარგებლობს მზის  
შუქითა და ჰაერით. შიგ მუშაობაც ერთი-ორად უადვილდე-  
ბა მუშა კაცს. ვაზის ან რქის დარგვის შემდეგ მეორე წე-  
ლიწადის შემოდგომაზედ ან მომავალ გაზაფხულზედ, ვაზებს  
სხლავენ, მხოლოდ სტოვებენ ორ-ორ რქას, ამისათვის ვა-  
ზებში შარ და შარ უნდა დაისვის მუხის ბოძები, ორ საჯენ  
ნახევარზედ ერთი მეორეზედ. მათზედ უნდა გაიბას მართული  
ან ხალხები კიკოსი. სულ ქვემო მართული ან ხალხა უნდა  
მიბმული იყოს მიწიდან 12 ვერშოკების სიმაღლეზედ, მეორე  
— მიწიდან 24 ვერშოკები, — მასამე — ორი არშინის სიმაღ-  
ლეზედ მიწიდან. შემდეგ ქვევითა მართულზედ მიაკარით დე-  
და ვაზი, დანარჩენი რქები და ყლორტები მიაკარით \*) და-  
ნარჩენ ორ ზემოთა მართულს. ოღონდ თუ ვაზის ყლორ-  
ტები მესამე მართულს აღემატა სიმაღლით, მაშინ ივლისში  
უსათუოდ ყლორტებს უნდა წაეჭრას წვერები (კენწეროები)  
და რაც მეტი უნაყოფო ყლორტებია, ისიც უნდა გაიფურ-  
ჩენოს, ე. ი. მოაშოროთ დედა ვაზს. მხოლოდ ყლორტების  
გაფურჩენა უნდა მაშინ, როცა ყლორტები ნორჩია, და თა-  
ვის თავად იმტვრევა. ჩემის აზრით ურიგო არ იქმნება, რომ  
ჩვენ საქართველოში მიჰყონ ხელი ამ სასარგებლო წესით ვა-  
ზის მოშენებას.

\*) ვაზის მისაკრავათ იხმარეთ კილობი, კილი, ან კიდევ მანეუ-  
ლი, წერილი წნორის ყლორტები.



ერთოვენა  
გენახის გაპატივებულის მიმღები

თუმცა ზემოთვე მქონდა ნათქვამი, რომ ვაზი სხვა მცენარესავით ნაზი მცენარე არ არის და კარგად ხარობს ყველა ნიაღაგზე, მაგრამ ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ ნიაღაგი მოკლებულია ზოგიერთ საჭირო ნაწილებსა. აი ამისთანა ნაკლულევანების შესავსებად უეჭველად საჭიროდ სთვლიან ვენახის გაპატივებას. ვენახის გასაპატივებლად ხმარობენ: საქონლის ახალ განავალს, ცხენის ფეინს, ცხვრის დრემლს, ღორის, ფრინვლის და ადამიანის განავალს; გარდა ამისა ვენახს აპატივებენ ძელებით, ნაცრით, ხის და ვაზის ფოთლებით, ყლორტებით, ტყის მიწით, ნამჯით, კირით, ქვიშით და სხვა.

**ვენახის გაპატივება საქონლის ახალი განაღლით.** საქონლის განავალი ყველაზე უმჯობესია, მაგრამ ეს სასუქი რომ აერიოს დამპალ ბუჩქიში, ნამჯაში და სხვა, მაშინ ნოკიერება გასტანს დიდ ხანობამდის; რის გამო იგი უფრო რგებს ვენახს, ვიდრე მარტო ნეხვი. ერთ დღიურ ვენახს უნდება 600—900 ფუთამდე შეზავებული საქონლის ნეხვი.

**ცხენის სასუქით გაპატივება.** მარტო ცხენის სასუქით არ შეიძლება ვენახის გაპატივება, რადგანაც მას შიგ უჩევია მომეტებული აზოტი, რის გამოც სასუქი მაღე იწვის, ვაზს ვერას არგებს და ღვინოსაც უკარგავს ღირსებას; ამ ნაკლის ასაცილებლათ ცხენის ფეინი უნდა იხმაროთ სრულებით დამიწებული, ან ახალი, მაგრამ მიწა-ნარევი. ერთ დღიურს ეყოფა 150—225 ფუთამდის.

**ცხვრის სასუქით (დრემლით) გაპატივება.** ცხვრის განავალი ცხენის ფეინზე ღონიერია და ამიტომ ახალი დრემლა ღვინოს ცუდ გემოს აძლევს; ამისათვის დრემლა უნდა იხმაროთ მიწაში, მერგელში ან გიპსში არეული, ან კიდევ სრულებით დამიწებული უნდა იხმაროთ.

**ღორის განაღლით გაპატივება.** ღორის სასუქით არა ღროს

არ აპატივებენ ვენახსა, რადგანაც ეს სასუქი ძრიელ ცულ გემოს აძლევს ლვინოსა. ვინიცობაა თუ ვინშემრასტუმული სასუქით გაპატივება თავის ვენახისა, მაშინ ღრამა-გრძნაფლუმ უნდა გაურიოს ცხენის ახალ ან სრულებით დამიწებულ სასუქში, ისიც ხმელ და შრალ ნიადაგში. ერთ დღიურს უნდა 750—1000 ფუთამდის.

**ფრინვლის განავლით გაპატივება.** ფრინვლის ხალასი განავლით შეუძლებელია ვენახის გაპატივება, რადგანაც ამაში ურევია მოქარბებული აზოტის მსგავსი ნივთიერება; ამისათვის ფრინვლის განავალი უნდა აურიოთ მიწაში, გიპსში და ნაცარში. შემდეგ ვაზს გარშემო მიწა ამოუთხარეთ, შიგ ჩაყარეთ ასე მომზადებული ფრინვლის განავალი და ზემოდან ისევ თავისი მიწა მიაყარეთ. ამ წესით გაპატივება ვენახს ძალიან უხდება. ერთ დღიურს უნდება 6—7½ ფუთი.

**ადგიმიანის განავლით (ოქროთი) გაპატივება.** მარტო ოქროს არა დროს არ ხმარობენ, რადგანაც ლვინოს უკარგავს გემოს და სურნელებას (ბუკეტს), აგრეთვე ყურძენსაც აძლევს ცულ გემოს. ამისათვის ოქროს უნდა შეურიოთ მიწა და ისე ახმაროთ ვენახს.

**ძვლით ვენახის გაპატივება.** ძვალს ნაყამენ ფქვილის მსგავსად, ასხამენ გოგირდის სიმეავეს და შემდეგ ურევენ იძღენ მიწას ან ნაცარს, რამდენიც ძვლის ფქვილია. ამ შეზავებულ მასალის აქუჩებენ ერთ ადგილას, ინახვენ 10—12 დღემდის, შემდეგ იღებენ თითო მუჭას და უყრიან ვაზს გარშემო, ისე რომ არ მოხვდეს არც თითონ ვაზს, არც მის ფესვებსა, თუ როგორმე წამალი მოხვდა ვაზს ან ფესვებს, მაშინ ვაზს დაუშლის გაზრდას, ამას ზემოდან თხლათ აყრიან მიწას. ერთ დღიურს უნდება 20—25 ფუთამდის.

**ნაცარით გაპატივება.** ნაცარი ყველა ალგზედ ერთნაირად არ მოქმედობს, მაგალითად, ხმელ ადგილებში, ქვიშა-ნაცარევ მიწაში ნაცარი ძალიან ვნებს. მაგრამ თხინან ნიადაგში ან კიდევ ნოტიო ადგილებში ნაცარი ძალიან მარგვებელია. რამ-



დენათაც ნაცარს ურევია მომეტებული კალი, ღმღვწენაზე სარგებლოა ვენახისათვის. ნაცარი აურიეთ მიწაში უძინ მოურება უძინ ამოუთხარეთ მიწა, შიგ ჩაყარეთ მიწა-ნარევი ნაცარი, ზემოდან ისევ მიაყარეთ მიწა, ოლონდ ნაცარი არ მოხვდეს ფესვებს ან ვაზს. ერთ დღიურს უნდება 25—37 ფუთამდის.

**ფოთლებით და ჭლორებით გაპატივება.** აიღეთ წალამი, დასკერით წვრილათ და მიაბნიეთ ვენახში და ოოცა ვაზს ჩამოსცვივა ფოთოლი, მაშინ ვენახი გადაბარეთ, ეს ნივთიერება მიწას ქვეშ მოჰყვება; ამისთანა გაპატივება ძალიან ოგებს ვენახს.

**ტყის მიწით გაპატივება.** ტყის მიწას უფრო ხმარობენ თიხა-მიწის გასაფხვიერებლად; რამდენიც მომეტებულად მოეყრება ტყის მიწა, იმდენად უკეთესად ფხვიერდება თიხა-მიწა; საზოგადოთ ტყის მიწაში ცოტაა კალი და ამიტომ შედარებით სხვა სასუქთან მას დიდი ღირსება. არა აქვს.

**ნამჯათ გაპატივება.** ნამჯა უფრო კარგია ვენახისათვის, ვიდრე ტყის მიწა, რადგანაც მასში ურევია მომეტებული კალი; იგი მშვენივრად ანოყიერებს, აღონიერებს და აფხვიერებს მიწას; ამიტომ ოოცა ყანებს მომკით და ძნას გამოიტანთ, მინდორში დარჩომილ ნამჯას მოუკიდეთ ცეცხლი და ეს კარგად გაანოყიერებს და გააფხვიერებს მიწას.


**კირით გაპატივება.** კირით აპატივებენ ცივ ადგილებში და თიხიან მიწას; იგი ანოყიერებს უნაყოფო მიწას და ღვინოსაც ამშვენიერებს. შემოდგომით ვენახში უნდა გაიფინოს, ნახევარ ან ერთი ვერშოკის სისქეზედ და მაშინათვე ჩაითოხნოს მიწაში, ოლონდ კირი არ უნდა მოხვდეს არც ვაზს და არც მის ფესვებს.

**ქიშით გაპატივება.** ქვიშა მოქმედობს ნიადაგზედ ორ ნაირად: 1) აფხვიერებს თიხნარ მიწას; 2) ძალიან ანოყიერებს ნიადაგს, მეტადრე თიხნარს. ამაზედ მევენახე ბ-ნ ტარდანს მოჰყავს შემდეგი თავისი გამოცდილება: იმას ჰქონია ერთი გავერანებული, ამოვარდნილი ვენახი; ჯერ სდომნია.

მისი ძირიანად გადაჭრა, მაგრამ ვერ გაუმეტნია; ბევრი ფრთკერის შემდეგ, ვენახში გამოუზიდნია წვრილი ქვეშა დღიურები მოდგომაზედ გაუფენია ვენახში, ორი ვერშოკის სისქით და გაზაფხულზედ ცხენის გუთნით გადუხნავს; ზაფხულში ამ ამო-ვარდნილ ვენახს ამოუხეთქნია მიწიდან იმისთანა თამაში, და მსხვილი რქა, რომ მას გაჰკვირვებია. მეორე წელიწადს ვაზი გათამამებული და შემოდგომაზედ დიდი მოსავალიც მოჰსველია. ამისათვის ბ. ტარდანი ყველა მევენახებს გულმოდგინებით ურჩევს, რომ ყველამ თავისი ვენახი გააპატივოს ქვიშით, თუ ამას მოითხოვს ნიადაგი. ქვიშა არა დროს არ ავნებს არც ვაზს, არც ნაყოფს და არც ლვინოს.

### ღ ვ ი ნ ი ს ღ ა ზ მ ი ნ ი ბ ა.


ყურძნის დაკრეფამდის ორი ქვირის წინად უნდა მომზადეს ჭურჭელი: ქვევრები ან ბოჭკები. ჭურჭლის მომზადება იმაში მდგომარეობს, რომ ჭურჭელი რაც შეიძლება წმინდათ უნდა გაირეცხოს, რომ ჭურჭელს შმორის სუნი არა სდიოდეს. ქვევრები უნდა გაირეცხოს ამ წესით: აპხადეთ ქვევრი, შიგ ჩასხით ცივი სუფთა წყალი, სარცხით რამდენჯერმე შემოასხით გვერდებს, რომ ჭუჭყი დალბეს, მერე პირახდილი დასტოვეთ ორიოდე დღე. შემდეგ ისევ გაიმეორეთ ქვევრების ამორეცხა, ჭუჭყიანი წყალი ამოღვარეთ, ხელახლა ჩასხით სუფთა წყალი და სარცხით კარგათ რეცხეთ, მღვრიე წყალი გადაღვარეთ. მესამეთ ჩასხით სუფთა წყალი და ისე დასტოვეთ. სამი ანუ ოთხი დღის შემდეგ იმავე წყლით გამორეცხეთ ქვევრი და ნარეცხი წყალი მაშინათვე გადაღვარეთ, მეოთხეთ ჩასხით სუფთა წყალი და უკანასკნელად გარეცხეთ, რომ ქვევრს ცუდი სუნი არ სდიოდეს. ვინიცობაა ქვევრს ცუდი შმორის სუნი სდიოდეს, რეცხეთ: კირით, ნაცრით, სოდით, ან სალიცოვის სიმუავით, ოღონდ ბოლო დროს ქვევრი ისე უნდა გამორეცხოთ, რომ ქვევრში კირის,



ნაცრის და სოდის სუნი არ დარჩეს. სარცხით ოცნებულ ჭურულ ტომ პატარა ქვევრებს, რომლებშიც კაცი ვერტებულ ჭურულ კაცებში კი უეჭველად კაცი უნდა ჩავიდეს და თითო ქვევრი ოთხჯერ კარგათ უნდა გარეცხოს, ე. ი. თითო ქვევრს ორ-ორი დღე უნდა რეცხვა, დიდრონი ქვევრები უნდა რეცხოთ წიწვით (ლვივია) ან კრაზანით (ბალახია). როცა ქვევრების რეცხვას ბორჩებით, მაშინათვე აუხრიოლეთ გოგირდი და ზემოდან დააფარეთ სარქველი. კარგათ გარეცხილ ქვევრებს წითელი ფერი უნდა სცემდეს.

**ბოჭკების რეცხვა.** აიღეთ ახალი ბოჭკები, გაავსეთ სუფთა ცივი წყლით და ათ დღეს ისე დასტოვეთ; შემდეგ წყალი გადალვარეთ და ხელ-ახლად გაამსეთ ისევ სუფთა წყლით. დასტოვეთ ესე ხუთ დღემდის. მერე წყალი ისევ გადალვარეთ და ბოჭკებში ჩაყარეთ გაცრილი კირი \*), ჩასხით აღუღებული წყალი, გაუკეთეთ კორა, ესე იგი მუხის პრობკა და კარგათ აქანავეთ წბოჭკები ხან ერთს და ხან მეორე გვერდზე; ბოჭკების ქანაობის დროს, დრო გამოშვებით, კორა ამოიღეთ და ორთქლი ამოუშვით ხოლმე, უიმისოდ შეიძლება ბოჭკა გასქდეს. როცა ბოჭკაში წყალი გაცივდება, ის წყალი გადალვარეთ, ხელ-მეორედ ჩასხით მდუღარე წყალი და ისევ იმ რიგზე აქანავეთ ბოჭკები. სულ ბოლო დროს წყალი გადალვარეთ და სუფთა წყალში გახსნილი სოდით გარეცხეთ. როცა მორჩეთ სოდით გამორეცხვას, ახლა გამორეცხეთ სუფთა ცივი წყლით ორჯელ და ეყოფა კიდეც, რომ სოდა შიგ არ დარჩეს და ღვინო არ გააფუქოს. გარეცხვის შემდეგ ბოჭკები მოაპირქვავეთ, რომ წყალი დაიწკრიტოს. ღვინო-ნადგამ ბოჭკებს არ უნდა კირით გამორეცხვა, ოდონდ ორჯელ გამორეცხეთ მდუღარე და ორჯელაც ცი-

\* ) კირი უნდა უყოთ ზომიერად, ასე რომ სამოცველობან ბოჭკაში ჩაყარეთ ორი ან სამი გირვანქა კირი, ორმოცველი ვედრიანში — 1½ — 2 გირვანქა.



ვი წყლით. წყლის დაწკრეტის შემდეგ, ბოჭკვეტა ამაზრულებები გოგირდით. როდესაც ბოჭკები მზათ გექნებათ შაშინი დამატებულ ყურძნის კრეფა, ე. ი. გამართეთ რთველი. ყურძნის დაკრეფის დრო მაშინ არის, როდესაც ყურძნი კარგად დამწიფდება, ე. ი. ღვინობისთვის დამლევს; რამდენიც ყურძნიც კარგად დამწიფდება, იმდენი მეტად შაქრდება, და რამდენიც კარგად დაშაქრდება, იმდენი კარგი ხარისხის ღვინო დაგვება. ყურძნის დაკრეფის დროს ყველა მემამულებ მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ შემოუსვლელი, ან დამპალი, ან დამკნარი ყურძნი არ გაურიოს საღ ყურძნენში, რაღანაც ერთმანეთში არეული კარგი და ცუდი ყურძნიდან ყოველთვის დგება მდარე ღვინო. ამასთანავე ყურძნი უნდა დაიკრიფოს კარგ მზიან დღეს და არა წვიმიან და ნამიან დღეს, რაღანაც წვიმიან და ნამიან დღეს დაკრეფილ ყურძნებს ემატება წყალი, რის გამოც დგება მდარე ღვინო. დაკრეფილი ყურძნი, როგორც თეთრი, ისე შავი, მარცვლის გასარჩევ მანქანაში უნდა გაირჩეს ისე, რომ კლერტები მოშორდეს მარცვალს, მაგრამ ვისაც არა აქვს ამისთანა მარცვლის გასარჩევი მანქანა, იმან დიდ გეჯაზე დასდოს დახვრეტილი ფიცარი, ზედ დაყაროს ყურძნი და ჩელით გასრისოს. მარცვალი ჩაცვივა შიგ გეჯაში, კლერტი კი დარჩება ფიცარზედ, ოლონდ დახვრეტილი ფიცარი გეჯის პირიდან სამი ან ოთხი ვერშოკით შიგ გეჯაში უნდა ჩაჯდეს, რომ გასრესის დროს ყურძნი არ დაიბნეს. თუ საქმე შავ ყურძნთანა გაქვთ, მაშინ გარჩეული მარცვალი თავის წვენით ჩაყარეთ პირდაპირ ჩანებში ან ქვევრებში დაუწყრავად, ოლონდ ქვევრებს ზემოდან დააფარეთ სარქველი, ჩანებს კიდევ ფიცარი. მესამე ან მეოთხე დღეს ტკბილი იწყობს დუღილს, დუღილის დროს დღეში ორჯელ დილა-სალამოთი ჭაჭას უნდა დაურიოთ სარცხით ან კიდევ ნიჩბით, უიმისოდ ჭაჭა გადმოვა და ბევრი წვენი დაიღვრება. გარდა ამისა, როცა ჭაჭა დარჩება დაურეველი, მას უხმება ზემოთა პირი და ემატება სიმევე, რომე-



ლიც გადადის წვენში და აფუქებს ლვინოს. რამატ ჭუჭლია  
დაიღულებს, კაქას ძირს დასძირამს და ლვინოუბი ჭუჭლია ჭუჭლ  
ჩება; მაშინ ლვინო გადაიღეთ სუფთათ მომზადებულ და გო-  
გირდით ნახრჩობ ჭურჭელში, დანარჩენი კაქა თავისი თხლით  
გაქაჯეთ საქაჯავში და გაქაჯული კაქა კი შეინახეთ არყის  
გამოსახდელად ანუ ძმრის მოსამზადებლად. გაქაჯული წვენი  
ჩასხით სხვა ჭურჭელში, რაღვანაც ნაქაჯ წვენს უფრო მო-  
მეტებული სიმაგრე, ძალა და სუნნელება აქვს, ვიდრე გაუ-  
ქაჯავს. თეთრი ყურძენი კი დაკრეფის უმალვე ჩაყარეთ მარ-  
ცულის გასარჩევ მანქანაში, კლერტები მოაშორეთ მარცვალს,  
შემდეგ მარცვალი თავის წვენიანათ გაქაჯეთ საქაჯავში, ტკბი-  
ლი პირდაპირ ჩასხით ბოჭკებში, კაქა კი შეინახეთ არყის  
გამოსახდელად. კლერტებს იმიტომ აცლიან ყურძენს, რომ  
შემოუსვლელი კლერტები ლვინოს სიმავავს უმატებს, აგრეთ-  
ვე უფუქებს გემოს, მეტადრე თეთრ ლვინოს, ამიტომ თეთ-  
რი ლვინო არა ღროს არ უნდა დააყენოთ კაქაზე. თუმცა  
წვენი მემამულენი იმ აზრის არიან, რომ თუ თეთრი ლვინო  
კაქაზედ არ დაღულდა, იმას არაფერი ძალა და ლონე არ ექ-  
ნებათ, მაგრამ გამოცდილება სულ სხვას გვეუბნება, უკავო-  
თაც შეიძლება საუკეთესო ლვინის დაყენება, ოლონდ საჭი-  
როა ცოდნა და ხერხი. როგორც ზემოთ ვსთქვით, გაქაჯულ  
ტკბილს ასხმენ ბოჭკებში ან ქვევრებში, მაგრამ ჭურჭელს  
ნაპირამდისინ ტკბილით არ ამსებენ, რაღვანაც დუღილის  
ღროს ტკბილი გადმოდის და ბევრი იღვრება. დუღილის  
ღროს ბოჭკებს და ქვევრებს უკეთებენ საქარებს \*). ტკბი-  
ლი ჭურჭელში იწყობს დუღილს ერთი ან ორი კვირის შემ-  
დეგ, ტკბილის დუღილის ვადა დამოკიდებულია სითბო-სი-  
ცოვეზე: რამდენადაც სარდაფუში ანუ მარანში ეთბილება, იმ-

\*) საქარებს აკეთებენ: თიხისას, თუნექისას, და შუშისას. საქა-  
რებს უკეთებენ იმისთვის, რომ ბოჭკებიდან ან ქვევრებიდან დუღილის  
ღროს გაზი ამოვიდეს და ჭურჭელი არ გასჭდეს.

დენად ტკბილი აღრე იწყობს დუღილა \*) და აჭრეც ათავებს, და რამდენათაც ცივა ან გრილა, იმდენად დალურებაშ რევნა ნებს. როცა ტკბილი დაიდუღებს და დაიწმინდება; ქაჭა სიფრთხილით უნდა გადღოთ სხვა კარგათ მომზადებულ სუფ-თა ჭურჭელში. რადგანაც ლვინის გადაღების დროს, ჩვენ მე-მამულებს ეძლევათ დიდი ხარჯი, ამისათვის ამ ხარჯის თა-ვიდგან ასაცილებლად, სჯობია რამდენიმე კაცის ერთად შე-იძინოს ლვინის გადასაღები მანქანა (პომპა) და ეს ერთი-ორად გაუადვილებს მათ საქმეს.

ლვინის გადაღება შეიძლება: ზამთრობით ქრისტეს შო-ბის თვეში ან იანვარში; გაზაფხულობით — მარტში ან აპ-რილში; ზაფხულობით — მკათათვეში და მარიამობის თვეში. ასე ხშირად ლვინის გადაღებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ჯერ ერთი, ლვინო კარგათ იწმინდება, მეორეთ, ლვინო იძენს კარგ ფერსა და მშვენიერ სუნსა (ბუკეტს). თუმცა ხშირი გა-დაღებითაც ლვინო კარგათ იწმინდება, მაინც და მაინც სარ-დაფებში ლვინის დასაწმენდათ ხმარობენ სხვა და სხვა ზო-მებს, მაგალითად: ლვინოს სწმენდავენ კვერცხის ცილით, სადურგლო წებოთი (ჟელატინითა), ძროხის რძით, საქონლის სისხლით და რუხვ-ფერი თიხით.

ლვინის დაწმენდა კვერცხის ცილით. საზოგადოდ კვერც-ხის ცილას ხმარობენ წითელი ლვინოების დასაწმენდათ; ამის-თვის 21 ვედრა ანუ 14 ჩაფის ლვინის დასაწმენდათ საჭიროა ექვსიდგან თექვსმეტამდის კვერცხის ცილა, რომელიც უნდა კარგათ გათქვითოთ ხის ანუ საქსონის ტაშტში; როდესაც ცილა კარგათ აქაფდება, შიგ გაურიეთ ერთი ჩარექი ლვინო და ხელახლად სთკიფეთ; როდესაც კარგათ აქაფდეს, ჩახ-ხით დასაწმენდ ლვინოში (ბოჭკაში ან ქვევრში) და სარცხით ან ლვინის დასარევი მანქანით ურიეთ ოცი წუთის განმავ-

\*) ტკბილის დასადუღებლად სარდაფებში საჭიროა 15—24% სით-ბო რეომიურის საჭომით.



ლობაში; შემდეგ დასტოვეთ ისე. ხუთი ან ექვემდებულობრივ შემძიებელი დეგ, ღვინო სრულებით დაიწინდება, რომელიც უძრავის უსამართო ფურცელის მიზანი არ არის. მაგრამ ამ დროის მიზანი არ არის მარტივი და მარტივი დარჩება, ის კიდევ იხმარეთ არყოს ან მარის მოსამართო და მარტივი დარჩება.

**დაწმენდა ღვინისა საღურგლო წებოთი.** საღურგლო წებოთი, ისე მოქმედობს ღვინოზედ, როგორც კვერცხის ცილა; ამისათვის ამასაც ხმარობენ წითელი ღვინის დასაწმენდათ. აიღეთ წებო, წვრილად დაამტვრიეთ, ჩაყარეთ სუფთა ტაფაში, ზედ დაასხით წითელი ღვინო, დადგით ნელ ცეცხლზედ, ურიეთ პატარა ცოცხით, რომ წებო დადნეს და არ მიიწვას, ოღონდ ღვინო არ ააღუღოთ, თორემ ღვინოს ცუდ გემოს მისცემს. როდესაც წებო სრულებით გაიხსნება ღვინოში, მაშინ გაღმოიღეთ ცეცხლიდან, გააციეთ, მერე ურიეთ პატარა ცოცხით, სანამ არ აქაფდეს; შემდეგ ზედ დაასხით ერთი ჩარექა ღვინო, ისევ კარგათ გათქვიფეთ, როცა აქაფდეს, ჩასხით დასაწმენდად ღვინოში და ჩასხის უმაღვე 15 წამი ურიეთ სარცხით ან დასარევი მანქანით. ოცდა ერთ ვედრა ღვინის დასაწმენდათ საკმარისია 7—10 მისხალი წებო. ერთი კვირის შემდეგ ღვინო გადიღეთ სხვა სუფთა ჭურჭელში.

**დაწმენდა ღვინისა ოვაზის წებოთი (უელატინით).** ამას ხმარობენ თეთრი ღვინოების დასაწმენდათ. აიღეთ წებო, დასკერით ძალიან წვრილად, დაალბეთ ცივ ან ცხელ წყალში, ერთი საათის შემდეგ წყალი გადაწურეთ, წებოზედ დაასხით ერთი ჩარექა ღვინო, ან კიდევ წყალში შეზავებული 12—15 გრადუსიანი ღვინის სპირტი, კარგათ გათქვიფეთ, ვიდრე აქაფდებოდეს, აქაფებული მასალა ჩასხით დასაწმენდ ღვინოში, ურიეთ სარცხით ან მანქანით 15 წამს. ოცი ვედრა ღვინის დასაწმენდათ, საკმარისია სამი მისხალი თევზის წე-

ბო. ერთ კვირაზედ ლვინო დაიწმინდება, მერტეჭაჭაჭუ სხვა  
სუფთა კურქელში.


**დაწმენდა ლვინისა ძროხისა რძის.** ლვინის დასაწმენდათ  
ხმარობენ აუღულარ ახალ რძეს. რაღანაც რძე ლვინოს ძა-  
ლიან უკარგამს ფერს, ამისათვის რძეს ხმარობენ ძალიან ლე-  
ქიან ლვინოების დასაწმენდათ; 25 ვედრა \*) ლვინის დასაწმენ-  
დათ საქმარისია ერთი ბოთლი აუღულარი რძე (ძროხისა).

**დაწმენდა ლვინისა ხაქონლის ხიხხლითა.** საქონლის სის-  
ხლისაც ისეთივე მოქმედება აქვს ლვინოზედ, როგორც ძრო-  
ხის რძეს, მაგრამ სისხლს ხმარობენ ხანდახან მუქი თეთრი  
ლვინოების დასაწმენდათ. სისხლი კარგათ გათქვიფეთ, ჩაას-  
ხით დასაწმენდ ლვინოში, მერე კარგათ ურიეთ. როცა დაწ-  
მინდავდეს, გადიღეთ სხვა სუფთა კურქელში. 21 ვედრა ლვი-  
ნის დასაწმენდათ საქმარისია ნახევარი ბოთლი საქონლის  
სისხლი.

**დაწმენდა ლვინისა რუხვ-ფეხი თხხით.** აიღეთ თიხა, კარ-  
გათ გახსენით ლვინოში, შემდეგ ჩაასხით ლვინოში და კარ-  
გათ ურიეთ. ერთი თვის შემდეგ წმინდა ლვინო გადიღეთ  
სხვა სუფთათ მომზადებულ კურქელში. 20 ვედრა ლვინის  
დასაწმენდათ საქმარისია სამი გირვანქა. თიხა.

ბოჭკები ან ქვევრები ყოველთვის სამსე უნდა იყოს,  
დრო გამოშვებით უნდა ნახოთ, თუ კურქელში ლვინოს და-  
უკლია, უკეველად გადაამსეთ, რომ ჰაერი არ შევიდეს და  
ლვინო არ გააფუქოს. თუ ლვინო გადაღებული გაქვთ ბოთ-  
ლებში, მაშინ ბოთლებს მაგრა გაუკეთეთ პრობკები, ბოთ-  
ლის ტუჩები გადალესეთ ფისით ანუ ლაქით, და დაწოლით  
დააწყეთ რიგზედ ერთი-ერთმანეთზედ, რაღანაც ფეხზედ და-  
ყენებულ ბოთლებს პრობკები უხმება, რის გამოც ბოთ-

\*) ერთი ჩაფი უდრის 1 ნახევარ ვედრას, ან 4 ნახევარ თუნგს;  
ერთი ვედრა უდრის 3 ოუნგს ანუ 6 ბოთლს. თუნგი უდრის 5—6  
ბოთლს.



ლებში შედის ჰაერი, ზემოდან იკიდებს პრკუტურული ცრუცლები ხანში ღვინოს აძმარებს. ამავე მიზეზით თანა დანარჩენის უნდა შეინახოთ ღვინო ნაკლულიდ ჭურჭელში. რამდენიც ღვინო დანაკლულდება, იმდენად უნდა გადაამსოთ ჭურჭელი, ან კიდევ უნდა გადაიღოთ შესაფერ ჭურჭელში. ოღონდ ღვინის გადაღებამდის ჭურჭელს კარგათ უნდა აუხრიოთ გოგირდი, რომ ჭურჭელში რაც მიკრობებია, გოგირდმა უნდა მოსპოს. ხოგიერთ წლებში, ხშირი წვიმების გამო, ყურძენი კარგად ვერ მწიფდება და ამიტომ მდარე და მუავე ღვინო დგება. ამისთანა მდარე ღვინოების გადასაკეთებლად ხმარობენ: შაპტალის, გალლის და პეტიოტის წესებს.

**შაპტალის წესი.** თუ ტკბილი ბაბოს შაქრის საზომით გვაჩვენებს 10 ნახვარ გრადუსს სიტკბოს და გვინდა სიტკბო ავიყვანოთ 16 გრადუსამდის, მაშინ ტკბილს დუღილის დროს უნდა მივუმატოთ 45 და ნახვარი გირვანქა შაქარი. თუ გვინდა რომ 17 გრადუსამდის ავიყვანოთ ტკბილის სიტკბო, მაშინ უნდა მივუმატოთ 54 გირ.; შაქარი 18 გრადუსამდის—62 და ნახვარი გირ. 19 გრადუსამდის—70 და ნახვარი გირ. და 20 გრადუსამდის—79 გ. შაქარი. ასე რომ რამდენათაც შეტსიტკბოს გვაჩვენებს ტკბილი ბაბოს შაქრის საზომით, იმდენად შაქარიც ნაკლებათ უნდა მივცეთ.

**გალლის წესი.** გალლის წესი იმაში მდგომარეობს, რომ მუავე ღვინოზე ასხამენ წყალს, მით ღვინო ბევრდება და სიმუავე ეკარგება. ამისთანა ღვინო დიდხანს ვერა სძლებს და მისთვის სპირტის და შაქრის დამატებაც ფუჭი იქნება. მაგრამ სახელდახელო სახმარებლათ კი კარგია ეს წესი. აქ მოვიყვან ციფრებს, თუ რამდენი ვედრა წყალი უნდა დაესხოს ას ვედრაზედ, რომ ღვინის სიმუავე ჩამოიყანოს 7, 6, 5 პრომილზედ. თუ ყურძნის წვენს დაწურვის დროს ექნება 12 პრომილი სიმუავე, მაშინ ას ვედრა ყურძნის წვენს დაუმატეთ 7 პრომილზედ ჩამოსაყვანად 71 ვედრა წყალი, 6 პრო-



მილზედ ჩამოსაყვანად — 100 ვედრა. წყალი, შეკრუმილუბან  
ჩამოსაყვანად — 140 ვედრა წყალი.

ბეტიოტის წესი. პეტიოტი იყო საფრანგეთის გამოქვებულის  
ლი ლვინის მკეთებელი, რომელმაც 1854 წელს შემოილო  
ლვინის გამევრება ამ გვარად: დაწურეთ თეთრი ან წითელი  
ყურძენი, დაწურვის შემდეგ რაც ჭავა დაგრჩეთ, ის ჩაყარეთ  
საქაჯავში და კარგათ გაქაჯეთ; გამოწურული ტკბილი აწ-  
ყვით, ნაქაჯი ჭავა ჩაყარეთ ქვევრში ან პირ-ახდილ ბოჭკა-  
ში და ზემოდამ დასხით იმდენი ცივი წყალი, რამდენიც აწ-  
ყული იყო საქაჯავიდან გამოსული ტკბილი. მაგალითად, თუ  
ტკბილი იყო ათი ან ოცი თუნგი, მაშინ გაქაჯულ ჭავაზე  
უნდა დასხით ამდენივე თუნგი წყალი. ამ წყალ-ჭავას მიუ-  
მატეთ იმდენი შაქარი, რამდენსაც მოითხოვს ზომა. თუ ბა-  
ბოს შაქრის საზომით ტკბილი აჩვენებდა ოც გრადუსს, მაშინ  
ჭავაზედ დასხმულ წყალსაც უნდა მიუმატოთ იმდენი შაქარი,  
რომ სიტკბომ აიწიოს 20 გრადუსამდის.

ტკბილის მალე დასაღულებლად, ცივი წყლის მაგივრათ  
ჭავაზედ ასხმენ 18—20 გრადუსიან თბილ წყალს. როცა ტკბი-  
ლი კარგათ დაღულდება, მაშინ გადაიღეთ სხვა კურკელში და  
ხელმეორედ დასხით იმავე ჭავაზედ იმდენი წყალი, რამდე-  
ნიც მიიღეთ შაქარ-ნარევი ტკბილი და ამ წყალსაც მიუმა-  
ტეთ იმდენივე შაქარი, რამდენ გრადუსსაც აჩვენებდა ბაბოს  
საზომი პირველად მიღებულ პეტიოტში. ასე იმეორებენ სამ-  
ჯერ-ოთხჯერ, მაგრამ ორჯელ მეტად არ უნდა გაიმეოროთ,  
რადგანაც მესამე და მეოთხე დასხმაზე ვერ გამოდის რიგია-  
ნი ლვინო.

თითონ პეტიოტი და პ. გელენტალი გვირჩევენ ერთსა  
და იმავე ჭავაზე ორჯელ წყლის დასხმას და ორჯელ გაქაჯ-  
ვას; ბაბო გვირჩევს ერთსა და იმავე ჭავაზე სამჯერ და ოთხ-  
ჯერ წყლის დასხმას და გაქაჯვას; ხოლო ბერში გვირჩევს  
ერთხელ წყლის დასხმას და ერთხელაც გაქაჯვას, რადგანაც  
პირველი ნაქაჯი ლვინო უფრო სასიმოვნო სასმელი არისო



და დიდხანაც ინახებათ. ვისაც უნდა მიიღოს ქრისტიანულობა  
ნი ტკბილი, იმან ორმოც ვედრა ჭავა წყალს წარმოაშენება. მიუჟმაც  
ტოს სამი ფუთი და 12 გირ. შაქარი. ცხადია, რომ რამდე-  
ნადაც უკეთესი ლვინო გნებავთ მიიღოთ ამ წესით, იმდე-  
ნად მეტი შაქარიც უნდა შეახმაროთ.

### ლ გ ი ნ ი ს ა გ ა მ ყ თ ფ თ ბ ა ნ ი;

ჩვენი ვენახის პატრონები დიდის ამბით მოელიან რთველსა  
და იმას-კი არა ფიქრობენ, თუ რა დროს დაკრიფონ ყურ-  
ძენი, ან რა წესით დააყენონ ლვინო. ჩვენ საქართველოში  
მომეტებულად ერთმანერთის ჯიბრით ჰკრეფავენ შემოსუვ-  
ლელ ყურძენს, რის გამოც უდროვოთ დაკრეფილი ყურძნი-  
დან ყოველთვის დგება მუვა, უვარებისი ლვინო. ზოგიერთნი  
კიდევ მეტი ტკბილის მისაღებათ, ჰკრეფავენ ავდრიან დღეებ-  
ში. ბევრი კიდევ იმისთანებია, რომ ნავიღან ამოსვლაში ფე-  
ხებს შიგ ნავშივე გადიბანს ხოლმე წყლით რა არის ლვინო  
მეტი დაგვიდგესო. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა ხარ-  
ბი პატრონი მალე იღებს ხელს თავის ლვინოზე. სწო-  
რეთ ამისთანებზე არის ნათქამი: „ბევრის მდომი ცო-  
ტასაც დაჰკარგავსო“. ჩვენს საქართველოში ხშირად მო-  
ხდება ხოლმე, ახდიან საპალნიან ქვევრს, დაუწყებენ სმას,  
ამასობაში ლვინოს ყოველ დღე აკლდება, მაგრამ პატრონს  
აინუნში არ მოსდის, გადის დრო, გადის ხანი, ლვინოს თან-  
და თან ეკარგება გემო, ფერი, სურნელება (ზუკეტი) და თა-  
ნაც ზემოდან იკიდებს პრკეს, რომელიც მოკლე ხნის გან-  
მავლობაში აძმარებს ლვინოს. ამის გამო ჩემი წიგნაკის შემ-  
წეობით მინდა გავაცნო ჩვენახის პატრონებს, თუ რო-  
გორ გადაარჩინონ თავიანთი ლვინოები ქვემოთ ჩამოთვლილ  
ავათმყოფობას. ლვინო ფუჭდება სხვა და სხვა მიზეზების გა-  
მო, მაგალითად: ძმარდება, მწარდება, ჭანკლება, მოლბება  
და გადაბრუნდება.

ლვინის დაძმარება. როდესაც ლვინო ჭურჭელში დანაკ-

ლულდება, მაშინ რაც კურპელში ცარიელი ადგილი რჩება, ის ადგილი იმსება ჰაერით, რომელიც ლვინოს ჭრის ტექნიკაში უჩინს პრკეს. პრკე თრნაირი თვისებისაა: ერთი თხელი, რომელსაც მეცნიერი პასტორი ერთგვარ სოკოს მიაწერს და უწოდებს მას „მიკოდერმავინს“. თუ პატრონმა თავის დროზედ არ უშველა ამისთანა პრკე-მოკიდებულ ლვინოს, მაშინ ეს პრკე თან-და თან სქელდება და ლვინოც უარესად შმარდება; ამისთანა ლვინის დამძმარებელ პრკეს მეცნიერი პასტორი უწოდებს „მიკოდერმა აცეტას“. ამ სენისაგან ლვინის გადარჩენა შეიძლება ამ გვარად: ლვინო არას დროს არ დაანარჩუნოთ კურ-პელში ნაკლულათ, მუდამ ლვინით სამსე კურპელი უნდა იდგეს გრილ და მშრალ სარდაფში. \*) რამდენიც კურპელი დანაკლულდება, იმდენი უნდა გაამსოთ. ეს ავათმყოფობა უფრო უჩნდება თხელ და ულონო ლვინოს.

**ლვინის ხიზზარე.** ეს ავათმყოფობა უჩნდება ლვინოს, რო-ცა იგი რჩება დაუდუღარი. სანამ ლვინო დამწარდებოდეს, მას ეყარგება ფერი, გემო და ბოლოს სრულებით მწარდება. ამ სენის აცილება შეიძლება ლვინოში სპირტის, ტანინის და ზაქრის მომატებით.

**ლვინის დაჭანკება.** ეს სენი უჩნდება ლვინოს მაშინ, რო-დესაც უგი ნაკლულად რჩება კურპელში, დაჭანკებულ ლვი-ნოს ექარგება: ფერი, გემო და მოკლე ხნის განმავლობაში სრულებით წყალდება. ამ სენის თავიდან ასაცდენად ჯერ ლვინო კარგათ დაანჯლრიეთ ქვევრში ან ბოჭკაში, დააცად თ ჩაიწმინდოს და მეტე გადაიღეთ სხვა კურპელში, რომელსაც ძალიან უნდა აუხრიოსთ გოგირდი და შიგ ჩაურიოთ თი-თო 40 ვედრა ლვინოზედ ერთი ბოთლი 80—100 გრადუ-სიანი კაჭის სპირტი. თუ ლვინო ძალიან არის დაჭანკებული, ის დიდხანს უნდა ანჯლრიოთ, შემდეგ დაწმინდოთ თევზის.

\*) ლვინის კარგათ და დიდხანს შესანახად, სარდაფში უნდა გუვეს სითბო ათიდან თოთხმეუ გრადუსამდის ცელზის საზომით.

წებოთი. \*) როცა ლვინო დაიწმინდოს, გადილეთ სხვა უფრო  
და გოგირდ ნახრჩოლ ჭურქელში და მიუმატეთ სპეციალური  
გაიმურეთ ესე სამჯერ ან ოთხჯერ, სანდო დაზღენილებულ  
ნამდვილ ლვინის გემოზედ.

**ლვინის მოდებობა.** ეს სენი უჩნდება უფრო თეთრ ლვინოს;  
მომბალ ლვინოს ეკარგება ფერი და თანაც გაჰკრავს ზეთის  
გევოს; გარდა ამისა ერთი ჭურქლიდან მეორე ჭურქელში  
გადალების დროს, გადადის სქლად, ზეთივით. უფრო მოლ-  
ბება ხოლმე ტკბილი ლვინო. ლვინო მოლმება აგრეთვე მა-  
შინ, როცა ლვინო დიდხანს რჩება გადაუდებელი. ამ სენის  
მოსასპობლად, ლვინოს უმატებენ 20—30 გრამს ტანინს; მო-  
მატების დროს ურიეთ სარცხით ან სარევი მანქანით იმ დრომ-  
დე, ვიდრე ლვინო გათხელდებოდეს. შემდეგ, გათხელებული  
ლვინო გადილეთ სხვა გოგიოდით ახრჩოლილ ჭურქელში და  
დაწმინდეთ თევზის წებოთი. თუ ტანინმა ვერ უშველა, მა-  
შინ ლვინოს უნდა მიუმატოთ წმინდა 90 გრადუსიანი სპირ-  
ტი, იგი შეაჩერებს სენის გაძლიერებას.

**ლვინის გადაბრუნვება.** უფრო გადაბრუნდება ხოლმე თხე-  
ლი წითელი ლვინო, როდესაც ლვინო დიდხნობამდის რჩება  
გადუღებელი. გარდა ამისა ამ სენით ფუჭდება იმისთანა ლვი-  
ნო, რომელიც დაყენებულია დამპალი და შემოუსვლელი  
ყურძნით. თუ სენი ძალიან არ არის მოდებული, მაშინ მისი  
გადარჩენა შეიძლება ამ წესით: აიღეთ ბოჭკა ან ქვევრი,  
კარგათ გარეცხეთ, აუხრჩოლეთ გოგირდი, ჩასხით დაავადე-  
ბული ლვინო და კარგათ ურიეთ, თუ გადაგიბრუნდათ წი-  
თელი ლვინო, მაშინ მიუმატეთ ყოველ ვეღრაზე 18 მისხალი  
აფთიაქში ნაყიდი ლვინის მარტი. თუ ლვინო 17 დღეზე არ  
გაკეთდა, მაშინ იხმარეთ მუხის სიმებავე აფთიაქშივე ნაყიდი,  
ყოველ თოთო ვეღრა ლვინოზე მიუმატეთ ხუთი მისხალი და

\*) 40 ვეღრა ლვინის დასაწმენდათ საკმარა 10—12 მისხალი თვე-  
ზის წებო.

ისევ დიდხანს ანჯლრიეთ ლვინო: როცა ლვინო მურაშვილი  
დოს, გადაიღეთ სხვა სუფთა ქურქელში. ბიბლიოთის

### როგორ უნდა გაიხინჯოს ლვინო?

გასასინჯი ლვინო არ უნდა იყვეს ციფი, მას უნდა ჰქონდეს 8—10 გრადუსი რომ. სითბო გასასინჯი ლვინო უნდა ამოილოთ ჭიქით, სავსე ქურქლის შეუა სილრმიდან, რაღანაც ზემოთა პირის ლვინოს ის ძალა და გემო არა აქვს, რაც სილრმეში. სანამ ლვინოს გასინჯავდეთ პირი კარგად უნდა გამოირეცხოთ ცივი და სუფთა წყლით, ხოლო, როცა გასასინჯი გაქვთ რამდენიმე ჯურა ლვინო, თითო გისინჯის შემდეგ პირი უნდა გამოირეცხოთ ცივი წყლით და ან ლუკმა შექამოთ. სინჯვის დროს ჯერ უნდა გასინჯოთ თეთრი ლვინოები, მერე წითელი, ჯერ ახალი და მერე ძველი, ჯერ მომჟავო და მერე ტკბილი ლვინოები.

**ლვინის სუნელობის (ბუკეფის) შეტყობის.** აიღეთ ლვინო, დაასხით რამდენიმე წვეთი მარცხენა ხელის გულზედ და კარგად გასრისეთ მარჯვენა ხელით. თუ გასრესილ ლვინოს იგივე სუნელობა აქვს, რაც ჭიქაში მდგარ ლვინოს, სხანს ლვინო ნამდვილი ბუნებრივი ყოფილა, თუ არა და ლვინო ხელოვნურად შეზავებული ყოფილა პატრონისაგან.

**ლვინის მმრჩადება.** აიღეთ თხლე ან ჭაჭა, ზედ დაასხით რამდენიმე ვეღრა ცივი ან ცხელი წყალი, ქურქელი დადგით თბილ ადგილას, როცა თხლე ან ჭაჭა დადუღდეს, მაშინ წვენი გადიღეთ სხვა ქურქელში, ქურქელი დადგით ისევ თბილ ადგილას. მალე დასამარებლად წვენში ჩაგდეთ ერთი დიდი გუნდა ხაშის ცომი. როდესაც წვენი დაძმარდეს, გადიღეთ სხვა ქურქელში და ისევ დადგით თბილ ადგილას; მხოლოდ, რამდენ მოთლსაც მოაკლებთ ქურქელს, იმდენი ბოთლი მიუმატეთ მუქი ჩა ან მდარე ლვინო. ამ წესით შეიძლება მომზადდეს ვაშლის, პატიდორის და ზემარტილის ძმარი, ოღონდ ვაშლი წვრილად უნდა დაიჭრას გაიღს და ნაქაჯი წვენი დაესხას თხლეზედ ან ჭაჭაზედ; პამიდორი კიდევ უნდა • პირდაპირ გაიქაჯოს და მისი წვენი დაესხას ჭაჭას ან თხლეს.





ეროვნული  
ბიблиოთეკი

1